ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ

კითხვა-პასუხი

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

რა არის ჩარჩო კონვენცია?

„ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“ ძალაში შევიდა 1998 წელს. კონვენცია არის ყოვლისმომცველი საერთაშორისო შეთანხმება, რომელიც შეიქმნა ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირთა უფლებების დასაცავად.

რატომ ჰქვია ჩარჩო კონვენცია?

ჩარჩო კონვენციის ტექსტი იცავს როგორც ინდივიდუალურ პირთა უფლებებს, ასევე, სახელმწიფოთა მიერ შესასრულებელ დამატებით ვალდებულებებს. საერთაშორისო სამართლის მიხედვით, კონვენცია სამართლებრივად მბოჭავი ინსტრუმენტია. თუმცა, სიტყვა „ჩარჩო“ ნიშნავს, რომ წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, ეროვნული კანონმდებლობისა და სამთავრობო პოლიტიკის მეშვეობით, კონვენციის ზოგიერთი დებულება მოარგონ კონკრეტული ქვეყნის გარემოებებს.

> ... პლურალისტური და ჭეშმარიტად დემოკრატიული საზოგადოება არა მხოლოდ პატივს უნდა სცემდეს ეთნიკურ უმცირესობას მიკუთვნებული თითოეული ადამიანის ეთნიკურ, კულტურულ, ლინგვისტურ და რელიგიურ თვითმყოფადობას, არამედ სათანადო პირობებიც უნდა შეუქმნას თავიანთი იდენტობის გამოხატვის, დაცვისა და განვითარებისათვის...

ვის იცავს ჩარჩო კონვენცია?

ჩარჩო კონვენცია არ განმარტავს ტერმინს „ეროვნული უმცირესობა“. თითოეულ წევრ სახელმწიფოს შეუძლია, თავისუფალი შეფასების ფარგლებში განსაზღვროს, თუ რომელ ჯგუფს უნდა ფარავდეს კონვენცია მათ ტერიტორიაზე. აღნიშნული განმარტება არ უნდა იყოს დისკრიმინაციული და უნდა ჩამოყალიბდეს კეთილსინდისიერად, საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპების, მათ შორის, თავისუფალი თვითიდენტიფიკაციის პრინციპის შესაბამისად.

თავისუფალი თვითიდენტიფიკაციის პრინციპი გულისხმობს, რომ ინდივიდებს აქვთ უფლება, გადაწყვიტონ, სურთ თუ არა, საკუთარი თავი ეროვნულ უმცირესობას მიაკუთვნონ. თუმცა, მათი გადაწყვეტილება უნდა დაეფუძნოს მათსავე იდენტობასთან დაკავშირებულ ობიექტურ კრიტერიუმებს, როგორიცაა რელიგია, ენა, ტრადიციები და კულტურული მემკვიდრეობა.

ჩარჩო კონვენციის საფუძველზე „ეროვნული უმცირესობის“ განმარტების მიმართ სახელმწიფოთა მიდგომა განსხვავდება: შეზღუდული მიდგომიდან (მაგ: ტრადიციულ ჯგუფთა ჩამონათვალის დადგენა, რომლებიც სარგებლობენ ჩარჩო კონვენციის დაცვით) უფრო ღია მიდგომამდე, როდესაც კონვენციის დებულებები მოქნილად გამოიყენება ადამიანთა ჯგუფების ფართო სპექტრის მიმართ.

როგორ მიმდინარეობს ჩარჩო კონვენციის მონიტორინგი?

ჩარჩო კონვენციის შესრულებას მონიტორინგს უწევს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი, ჩარჩო კონვენციის საკონსულტაციო საბჭოსთან ერთად, რომელიც 18 დამოუკიდებელი ექსპერტისგან შედგება.

> ...ევროპის ისტორიის განვითარებამ აჩვენა, რომ ეროვნულ უმცირესობათა დაცვა არსებითია კონტინენტზე სტაბილურობის, დემოკრატიული უსაფრთხოებისა და მშვიდობისათვის...

უფლებები, რომლებითაც სარგებლობენ ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებული პირები

& სახელმწიფოთა მიერ შესასრულებელი დამატებითი ვალდებულებები

ეთნიკური, კულტურული, ლინგვისტური და რელიგიური იდენტობის **თავისუფლად გამოხატვა** - დისკრიმინაციისგან დაცვა - **თანასწორობის ქმედითი** დაცვა - უმცირესობათა კულტურის, რელიგიისა და ენის შენარჩუნება-განვითარება - **კულტურათაშორისი დიალოგის** ხელშეწყობა და უმცირესობებს მიკუთვნებულ პირთა დაცვა მტრული დამოკიდებულებისა თუ ძალადობისგან - შეკრების, გაერთიანების, გამოხატვის, ფიქრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების დაცვა - მრავალფეროვანი **მედიასივრცის** შექმნა უმცირესობათა ენებზე მაუწყებლობისა და მათი მედიის მხარდაჭერით - უმცირესობათა **ენების** გამოყენება ხელისუფლების ორგანოებთან კონტაქტისთვის იქ, სადაც ისინი ტრადიციულად სახლობენ, ან უმრავლესობაში არიან - ადამიანთა და ადგილთა სახელების, ასევე, სხვა ტოპოგრაფიული მითითებების ასახვა უმცირესობათა ენებზე - **განათლების ხელმისაწვდომობა** ყველასთვის და კულტურათაშორისი ცოდნის გაძლიერება - უმცირესობათა ენებზე სწავლა და სწავლება კერძო თუ საჯარო სკოლებში - უმცირესობებს მიკუთვნებულ პირთა ჩართვა მათზე გავლენის მქონე **საჯარო გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში** - მონაწილეობა **კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში** - უმცირესობათა უფლებების შემზღუდველი ქმედებებისგან თავშეკავება - უმცირესობათა უფლებების ხელშეწყობა ორმხრივი, მრავალმხრივი და ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობით

სად იცავს ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირებს?

ჩარჩო კონვენცია ძალაშია 38 ქვეყანაში. კოსოვოსთან* მიმართებით არსებობს საგანგებო მონიტორინგის შეთანხმება კოსოვოში გაეროს დროებითი ადმინისტრაციის მისიასთან (UNMIK).

- ჩარჩო კონვენციის წევრი სახელმწიფოებია:

ავსტრია	ირლანდია	ნორგეგია	უკრაინა
აზერბაიჯანი	იტალია	პოლონეთი	უნგრეთი
ალბანეთი	კვიპროსი	პორტუგალია	ფინეთი
ბოსნია და ჰერცოგოვინა	ლატვია	რუმინეთი	შვედეთი
ბულგარეთი	ლიეტუვა	სან მარინო	შვეიცარია
გერმანია	ლიხტენშტეინი	საქართველო	ჩეხეთის რესპუბლიკა
დანია	მალტა	სერბეთი	ჩრდილოეთ მაკედონია
დიდი ბრიტანეთი	მოლდოვა	სლოვაკეთის რესპუბლიკა	ხორვატია
ესპანეთი	მონტენეგრო	სლოვენია	
ესტონეთი	ნიდერლანდები	სომხეთი	

- სახელმწიფოები, რომლებმაც ხელი მოაწერეს, მაგრამ ჯერ რატიფიცირებული არ აქვთ ჩარჩო კონვენცია:

ბელგია	ლუქსემბურგი
ისლანდია	საბერძნეთი

- სახელმწიფოები, რომლებსაც არც ხელი მოუწერიათ და არც რატიფიცირებული აქვთ ჩარჩო კონვენცია:

ანდორა	მონაკო
თურქეთი	საფრანგეთი



* რუსეთის ფედერაცია იყო სახელმწიფო მხარე 1998 წლიდან 2024 წლამდე.

** ამ ტექსტში ნებისმიერი მინიშნება კოსოვოზე, იქნება ეს ტერიტორია, ინსტიტუციები თუ მოსახლეობა, უნდა მოიაზრებოდეს გაეროს უშიშროების საბჭოს 1244 რეზოლუციასთან სრულ შესაბამისობაში, კოსოვოს სტატუსის დაზიანების გარეშე.

„ ... ტოლერანტობისა და დიალოგის ატმოსფეროს შექმნა აუცილებელია, რათა კულტურული მრავალფეროვნება იქცეს არა განხეთქილების, არამედ თითოეული საზოგადოების სულიერი გამდიდრების წყაროდ და ფაქტორად...

ინფორმაცია

კონტაქტი:
ეროვნულ უმცირესობათა დაცვის
შესახებ ჩარჩო კონვენციის სამდივნო

ევროპის საბჭო
F-67075 სტრასბურგი Cedex
minorities.fcnm@coe.int
www.coe.int/minorities

არასამთავრობო ორგანიზაციების როლზე
დამატებითი ინფორმაციისთვის:
www.coe.int/en/web/minorities/role-of-ngos

PREMS 062223

KAT

www.coe.int

ევროპის საბჭო არის ადამიანის უფლებათა მოწინავე ორგანიზაცია კონტინენტზე. იგი 46 წევრი სახელმწიფოსაგან შედგება, რომელთა შორისაა ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყანა. ევროპის საბჭოს ყველა წევრმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას - ხელშეკრულებას, რომლის ძირითად მიზანს ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დაცვის უზრუნველყოფა წარმოადგენს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ზედამხედველობს კონვენციის შესრულებას წევრ სახელმწიფოებში.

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE